საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბულეთისძენი

აბულეთისძენი, კახეთის დიდგვაროვან ფეოდალთა საგვარეულო XII–XIII სს-ში.

გვარის ფუძემდებელია აბულეთი. მამულები არაგვისა და კახეთის თეძმის ხეობაში ჰქონდათ. ა. მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საქართვ. *პოლიტ.* ცხოვრებაში. იყვნენ ერისთავთერისთავები, გამოჩენილი სარდლები (იხ. აბულეთი, აბულეთისძე ივანე, აბულეთისძე ქირქიშ). XIII ს. შემდეგ დაკნინდნენ, დაკარგეს მამულები და ერისთავთერისთავობა. 1405 დოკუმენტის ცნობით, ა-თა მამულს აბაზასძეთა საგვარეულო დაეპატრონა.

წყარო: ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, [ტ.] 1, ნ. შოშიაშვილის რედ., თბ., 1984; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის *გამოც.*, ტ. 2, თბ., 1965; Всеобшая история Вардана Великого, пер. с арм., Н. Эмина, М., 1861.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; მ ი ს ი ვ ე , დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1986.

ნ. შოშიაშვილი